# სახელმწიფოს პასუხისმგებლობები გავშვთა ქორწინების აღკვეთისთვის

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

# სახელმწიფოს პასუხისმგებლობები ბავშვთა ქორწინების აღკვეთისთვის

ავტორი: ანი ისაკაძე

**სოციალური სამართლიანობის ცენტრი**

**თბილისი, 2024**

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

*სტატია მომზადდა **სოციალური სამართლიანობის ცენტრის** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი** (EWMI) **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) მხარდაჭერით.*

*დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **სოციალური სამართლიანობის ცენტრი** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.*

*The article was prepared by the Social Justice Center with the support of the USAID Rule of Law Program funded by the United States Agency for International Development (USAID) through the East-West Management Institute (EWMI). The views expressed in this article are the sole responsibility of the author and do not necessarily reflect the views of USAID and EWMI.*

**აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე, აკრძალულია.**

**ციტირების წესი:** სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ანი ისაკაძე,

„სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ბავშვთა ქორწინების აღკვეთისთვის“, 2024

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

**მისამართი:** ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

**ტელ:** +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

## ადრეული/იძულებითი ქორწინების ცნება და მისი საზიანო შედეგები

ადრეული ქორწინების საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია იმ ორი ადამიანის რეგისტრირებულ ქორწინებას ან არაოფიციალურ კავშირს გულისხმობს, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც არასრულწლოვანია.[1] კერძოდ, იგი განიმარტება, როგორც ნებისმიერი ფორმალური ან არაფორმალური კავშირი 18 წლამდე ასაკის ბავშვსა და ზრდასრულ ადამიანს, ან სხვა არასრულწლოვანს შორის. თავის მხრივ, არაფორმალური კავშირია, როდესაც წყვილი გარკვეული დროის განმავლობაში ერთად ცხოვრობს, ანუ იმყოფება ფაქტობრივ თანაცხოვრებაში, აპირებს ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ არ ჰქონია ოფიციალური სამოქალაქო, ან რელიგიური ცერემონია.[2]

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით: *"დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი მხარის თავისუფალი თანხმობის პირობებში"*.[3] შეუძლებელია, ქორწინების შესახებ არსებობდეს თავისუფალი ნება მაშინ, როდესაც დასაქორწინებელი პირი არასრულწლოვანია, რადგან ნაგულისხმებია, რომ ბავშვი მოკლებულია გააზრებული თანხმობის გაცხადების შესაძლებლობას. შესაბამისად, ადრეულ ასაკში ქორწინება იმთავითვე, როგორც ზოგადად ადამიანის უფლებების, ისე, უშუალოდ ბავშვთა უფლებების დარღვევადაა მიჩნეული, რადგან ითვლება, რომ თითოეული ნაადრევი ქორწინების შემთხვევა, იძულებით ქორწინებად უნდა იქნას განხილული.[4] ამდენად, არასრულწლოვანთა ქორწინება მიიჩნეულია იძულებით ქორწინებად, ვინაიდან ერთ ან/და ორივე მხარეს არ გამოუხატავს სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა.[5]

ნიშანდობლივია, რომ ადრეული ქორწინება გენდერულ ჭრილში განსახილველი ფენომენია, ვინაიდან, მისი შედეგები განსხვავებულ გავლენას ახდენს ბიჭებსა და გოგონებზე, რასაც ისიც ადასტურებს, რომ მსოფლიო მასშტაბით ადრეული ქორწინების მსხვერპლი გოგონების რაოდენობა ექვსჯერ აღემატება ბავშვთა ქორწინების მსხვერპლი ბიჭების საერთო მაჩვენებელს.[6] შესაბამისად, ცალსახაა, რომ ბავშვთა ქორწინება ხშირად ფესვგადგმული გენდერული უთანასწორობის შედეგია, რაც გოგონებს ფიზიკურ, ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ ზიანს აყენებს, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ გოგონებისთვის ქორწინება პირდაპირაა დაკავშირებული ნაადრევი ორსულობისა და მშობიარობის, შინშრომისა და სექსუალური მორჩილების რისკებთან.[7]

ადრეული ქორწინების მსხვერპლი გოგონები **„უხილავი ბავშვები"** ხდებიან და ვერ უმკლავდებიან მათზე დაკისრებულ ტვირთს. გოგონებისათვის ქორწინება არის პროცესი,

---

[1] United Nations. (2015). Resolution adopted by the Human Rights Council 29/8, Strengthening efforts to prevent and eliminate child, early and forced marriage, A/HRC/RES/29/8.

[2] United Nations International Children's Emergency Fund, სტატია: "Child marriage is a violation of human rights, but is all too common",ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/muEGK

[3] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი.

[4] იქვე.

[5]Committee on the Elimination of Discrimination against Women & Committee on the Rights of the Child, Joint general recommendation/general comment No. 31 of the Committee on the Elimination of Discrimination against Women and No. 18 of the Committee on the Rights of the Child on harmful practices, CEDAW/C/GC/31-CRC/C/GC/.

[6] United Nations International Children's Emergency Fund, სტატია: „Child marriage threatens the lives, well-being and futures of girls around the world", ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/uLSTU

[7] United Nations International Children's Emergency Fund Research Centre, "Early Marriage-Child Spouses", გვ.2-3. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/pwBX5

რომელიც მათთვის აქამდე ნაცნობ ცხოვრების წესს არსებითად ცვლის. ამ დროს გოგონები ხშირად უარს ამბობენ თავიანთი სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე, რაც საბოლოოდ იწვევს მათ სოციალურ და უფლებრივ გარიყვას. [8] მათ უწევთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მშობლიური და ნაცნობი სოციალური კავშირების უეცარი წყვეტა და შინშრომასთან დაკავშირებული ვალდებულებების აღება, რის გამოც ისინი ვეღარ ახერხებენ საგანმანათლებლო პროცესში აქტიურ და თანმიმდევრულ მონაწილეობას და საბოლოოდ სკოლების მიტოვება უწევთ.[9]

ბოლო კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეულ ქორწინებას გოგონებზე მრავალშრიანი შედეგები აქვს, მათ შორის:

- მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ხარისხიან განათლებაზე, რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება, მომავალში, მათი დასაქმებისა და სტაბილური ანაზღაურების შესაძლებლობის შანსები;
- მცირდება მათი ფიზიკური, ეკონომიკური და სოციალური მობილურობა, ვინაიდან, მსხვერპლი გოგონების ცხოვრების ძირეულ ასპექტებს, ქორწინების შემდგომ უმეტესად, მათი მეუღლეები წარმართავენ;
- მათ აქვთ ნაკლები შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტონ საყოფაცხოვრებო საკითხები, რადგან, ქორწინების შემდგომ გოგონები ძირითადად მეუღლეთა ოჯახებში აგრძელებენ ცხოვრებას, ამდენად, მათ უკვე დადგენილ ოჯახურ იერარქიასა და ცხოვრების წესებზე უწევთ მორგება;
- ქორწინებისთანავე გოგონები შინშრომის პროცესში ებმევიან, რის გამოც, მათ ლიმიტირებული დროის რესურსი აქვს, ამიტომ ისინი ვერ ახერხებენ თანამედროვე მედიის ყოველდღიურ გაცნობას, რაც საბოლოოდ გოგონებს ინფორმაციულ ვაკუუმში აქცევს;
- ხშირად ისინი იძულებულნი არიან უარი თქვან ცხოვრების იმ წესებზე, რომელიც მათ ქორწინებამდე გააჩნდათ, რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება მათი სოციალური კავშირები;
- ადრეული ქორწინება იმთავითვე გენდერული უთანასწორობის შედეგია, ამიტომაც, ბავშვთა ქორწინება გენდერული ძალადობის მომეტებულ რისკებთანაა ასოცირებული;[10]

ადრეული ქორწინების თანხმლებ შედეგებთან ერთად, უმნიშვნელოვანესია, სწორად იქნას შეფასებული მისი გამომწვევი მიზეზები. სამწუხაროდ, ხშირად მიიჩნევენ, რომ ადრეული ქორწინება კონკრეტული საზოგადოებებისა და თემისთვის დამახასიათებელი ტრადიციული და კულტურული ნორმაა, რაც საკითხისადმი გულგრილობისა და ზედაპირული დამოკიდებულების ნათელი მაგალითია.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია, ძირითადად იგი სიღარიბითა და მაღალი სოციალური მოწყვლადობითა არის განპირობებული.

---

[8] იქვე.

[9] United Nations Population Fund, სტატია: „A world apart: The disadvantage and social isolation of married adolescent girls“, გვ.4-6, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/gJSX4

[10] იქვე. გვ.5

2017 წელს გაეროს მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ადრეულ ქორწინებას უმთავრესად სიღარიბე განაპირობებს.[11] ღარიბი ოჯახებისათვის, ახალგაზრდა გოგონები ეკონომიკურ ტვირთს წარმოადგენენ, შესაბამისად, ხშირად, მათი გათხოვება ეკონომიკური სტაბილურობის ერთადერთი გარანტია. ქორწინების შემდგომ, ერთი მხრივ, მეუღლის ოჯახზე გადადის რიგი მატერიალურ პასუხისმგებლობებისა, ხოლო მეორე მხრივ, გოგონების ოჯახს ერთით ნაკლები ადამიანი რჩება გამოსაკვები. ამდენად, უდავოა, რომ ადრეული ქორწინება ხშირად, ფინანსური უსაფრთხოების ერთადერთ შესაძლებლობადაა დანახული.[12]

იმავეზე, მეტყველებს, 2017 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებიც, რომლის თანახმადაც, ღარიბ ოჯახებში დაბადებული გოგონების 33% ადრეული ქორწინების მსხვერპლია, მაშინ, როდესაც, მდიდარი ოჯახებისათვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4%-ს შეადგენს.[13]

სიღარიბესთან ერთად, ნაადრევი ქორწინება სხვადასხვა ჯგუფების სოციალური მოწყვლადობითა და მარგინალიზებითაა განპირობებული. დღესდღეობით ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სოციალური ჯგუფია, რაც, როგორც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორით, ისე ამ ჯგუფების გარიყულობისა და მივიწყების სისტემური პრაქტიკითაა განპირობებული. უმცირესობებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ხარისხიან განათლებაზე, ამასთან ამ თემში მწვავედ დგას სახელმწიფო ენის პოლიტიკის შედეგად სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის საკითხი. აღიარებულია, რომ კონკრეტულ ჯგუფთა სოციალური მარგინალიზაცია, მნიშვნელოვნად ამწვავებს გენდერულ უთანასწორობას.[14] კვლევების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების მწვავე სოციალური გარიყულობა, ამ თემის ბავშვებსა და ქალებს ორმაგად დაუცველსა და მოწყვლადს ხდის.

ცხადია, პატრიარქალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წესწყობილება, ყველა ეთნიკური წარმომავლობის ქალზე ავლენს უარყოფით გავლენას, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ქალები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფია, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებს მათი უფლებების დაცვის კუთხით კულტურულად მგრძნობიარე მიდგომა ჰქონდეთ. [15]

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ისეთი მრავალწახნაგოვანი ძალადობა, როგორიცაა ადრეული ქორწინება, რომელიც პატრიარქალურ ნორმებში ჩაბეჭდილი რეპრესიებისა და ძალადობის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმაა და რომელსაც, ეთნიკური უცირესობების ქალებისათვის, საგანმანათლებლო შესაძლებობებისადმი ნაკლები წვდომა, შრომის ბაზრიდან მათი იზოლაცია და საკუთარი უფლებების შესახებ შეზღუდული ინფორმაციული შესაძლებლობები მოაქვს და ამდენად, კიდევ უფრო მეტად მოწყვლადს ხდის მათ

[11]United Nations Population Fund, კვლევა: „Child Marriage In Georgia",გვ.18, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/knxz8
[12]United Nations International Children's Emergency Fund Research Centre, "Early Marriage-Child Spouses", გვ.5-7
[13]United Nations Population Fund, კვლევა: „Child Marriage In Georgia",გვ.19
[14]იქვე. გვ.21
[15] WeResearch, ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება. გვ.29

დისკრიმინაციისადმი, საზოგადოებისგან გარიყვისა და საჯარო თუ პირად სივრცეში არასათანადო მოპყრობისადმი. [16]

## საერთაშორისო სამართლის სტანდარტები და მიდგომები ადრეული/იძულებითი ქორწინების აკრძალვის შესახებ

### 1.1 კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

ნაადრევი ქორწინების საკითხი არაერთი საერთაშორისო სამართლის წყაროთია განხილული. მათ შორის, მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

კონვენციის, მე-16 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს კანონისმიერ ვალდებულებას აკისრებს, რომ ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობების ყველა საკითხში- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და კერძოდ, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ:

- ქორწინების თანაბარი უფლებები;
- მეუღლის თავისუფალი არჩევის უფლება, მხოლოდ მათი თავისუფალი და სრული თანხმობის შემთხვევაში;[17]

მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: *„ბავშვის დანიშვნასა და ქორწინებას იურიდიული ძალა არ აქვს. აუცილებელია მიღებული იქნას ყველა საჭირო ზომა, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე, რათა განისაზღვროს მინიმალური საქორწინო ასაკი და ქორწინების რეგისტრაცია გახდეს სავალდებულო ოფიციალურ რეესტრში."[18]*

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მიზნებისათვის, ბავშვად 18 წელს მიუღწეველი თითოეული ინდივიდია ჩათვლილი. თავის მხრივ, ფაქტი, რომ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით ბავშვის დანიშვნაცა და ქორწინებაც, ჩანასახშივე ბათილადაა გამოცხადებული, ერთგვარი გარანტია იმისა, რომ ბავშვის უფლებრივი აღდგენის შემდგომ, სამართლებრივად იგი არ იქნება განქორწინებულად მოაზრებული, რაც გოგონას საშუალებას მისცემს ზრდასრულობის ასაკში, ყოველგვარი სტიგმის გარეშე შექმნას ოჯახი.[19]

მნიშვნელოვანია, რომ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის პრაქტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, რომ მყისიერად აღკვეთოს ის ტრადიციები და ადათ-წესები, რომლებიც თავიანთი შედეგებით დისკრიმინაციული და ზიანის მომტანია გოგონებისათვის.

---

[16] იქვე.

[17] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. კონვენციის, მე-16 მუხლის 1-ელი ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები.

[18] იქვე. მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი.

[19] The UN Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women: A Commentary (Second Edition),გვ.74.

კომიტეტი მიუთითებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ჩვეულებები მანკიერ შეხედულებებს ამკვიდრებს გოგონების სიმწიფისა და განვითარების შესახებ, რომ თითქოს გოგონები უფრო მალე აღწევენ ინტელექტუალურ განვითარებას. ასეთი ზედაპირული მიდგომები ირიბად ამართლებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკების არსებობას, მით უფრო, რომ კომიტეტის განმარტებით, ასეთი შეხედულებების კულტივირება ეწინააღმდეგება კონვენციას, ვინაიდან გოგონების ინტელექტუალური თუ ფიზიკური სიმწიფე აბსოლიტურად შეუსაბამოა ქორწინებისთვის. სრულწლოვანებამდე ქორწინება პირდაპირ იწვევს ბავშვთა უფლებრივ გარიყვას, აფერხებს გოგონების განათლების პროცესს, რისკს უქმნის მათ ჯანმრთელობას და ზღუდავს მათ ეკონომიკურ ავტონომიას, რაც შორეულ პერსპექტივაში საზიანოა, როგორც უშუალოდ ახალგაზრდა გოგონებისათვის, ისე მათი ოჯახებისა და სრულიად საზოგადოებისათვის.[20]

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, განსაკუთრებულ დათქმას აკეთებს გოგონათა ნიშნობის შესახებაც. ვინაიდან, აღიარებულია, რომ ბავშვთა იძულებითი ქორწინების კრიმინალიზების შემდგომ, ხშირდება გოგონათა იძულებითი დანიშვნის პრაქტიკაც. კონვენციის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ არასრულწლოვანი გოგონების ოჯახის წევრები, გოგონების ნების საწინააღმდეგოდ აწყობენ ნიშნობის რიტუალს, რომელსაც ყოველდღიურობაში ფაქტობრივად იგივე დატვირთვა აქვს, რაც ქორწინებას, ამიტომ, კონვენცია ბავშვთა ქორწინებასთან ერთად, არასრულწლოვანთა ნიშნობასაც ბათილად ცნობს. დადგენილია, რომ მინიმალური ასაკის შესახებ მოწესრიგება ბავშვთა ნიშნობაზეც უნდა გავრცელდეს, რადგან ნაგულისხმებია, რომ ქორწინების მსგავსად, არც არასრულწლოვანთა ნიშნობას აქვს რაიმე იურიდიული ძალა.[21]

მეტიც, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ შესაძლოა ბავშვთა ქორწინება, ბავშვებით ვაჭრობისა და მონობის, თანამედროვე ფორმად იქნას ჩათვლილი.

სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბავშვთა ქორწინება მსგავსია, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ბავშვების გაყიდვისა, ვინაიდან, ორივე შემთხვევაში, როგორც, მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი შედეგები, გოგონების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ტანჯვას იწვევს, რაც საბოლოოდ, გავლენას ახდენს მსხვერპლთა შესაძლებლობებზე, გააცნობიერონ თავიანთი უფლებების სრული სპექტრი. [22]

დამატებით, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტმა გაიზიარა სპეციალური მომხსენებლის მოსაზრება, რომ ადრეული ქორწინება შესაძლოა მონობის თანამედროვე ფორმადაც კი იქნას იდენტიფიცირებული. 18 წლამდე მოზარდების ქორწინება, იმთავითვე გულისხმობს, მსხვერპლის სხვადასხვა ფორმით ექსპლუატაციას, რის სანაცვლოდაც კონკრეტული პირები, მათ შორის მსხვერპლის ოჯახის წევრები, ფულს ანდა სხვა სახის ეკონომიკურ სარგებელს იღებენ.[23]

კომიტეტი მოუწოდებს ხელშემკვრელ მხარეებს დააწესონ ტრადიციული და რელიგიური რიტუალების მიხედვით ჩატარებული ქორწინებების სამოქალაქო რეესტრში გატარების

---

[20] UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), CEDAW General Recommendation No. 21:Equality in Marriage and Family Relations,1994, გვ.8, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/a4obd7

[21] იქვე. გვ.8

[22] United Nations, General Assembly, Preventing and eliminating child, early and forced marriage, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, A/HRC/26/22, გვ.5

[23] იქვე.

მკაცრი ვალდებულება და ამავდროულად, განსაზღვრონ ქორწინების მინიმალური ასაკი, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს 18 წელს მიუღწეველი პირების სამოქალაქო წესით ქორწინების შესაძლებლობას.[24]

### 1.2 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასთან ერთად, ადრეული ქორწინების საკითხები  სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმებითაცაა მოწესრიგებული.

მათ შორისაა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც მეორენაირად სტამბოლის კონვენციის სახელითაა ცნობილი.

ადრეული ქორწინების აკრძალვას შეეხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის  ევროპის საბჭოს კონვენციის 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის მიხედვითაც: *„სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ზრდასრულ ადამიანს ან ბავშვს ქორწინებას აიძულებს.“*[25]

კონვენციის მიზნებისათვის, ადრეული ქორწინება იძულებითი ქორწინების ფორმადაა მიჩნეული, იმდენად, რამდენადაც, ნაგულისხმებია, რომ ბავშვების ქორწინების შემთხვევაში, გამორიცხულია არსებობდეს ორივე მხარის სრული, თავისუფალი და ინფორმირებული ნება ქორწინების შესახებ.[26]

კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოს  იძულებითი ქორწინების კრიმინალიზების კანონისმიერ ვალდებულებას აკისრებს და მიუთითებს, საკანონმდებლო დონეზე აღიაროს, რომ ნებისმიერი ბავშვთა ქორწინება არის იძულებითი ქორწინება.  კონვენციის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონმდებლობამ ასევე ფართოდ უნდა განმარტოს იძულებით ქორწინების დეფინიცია, მათ შორის, უნდა გაითვალისწინოს სრული და თავისუფალი თანხმობის კონცეფცია. ამასთან, აუცილებელია, იძულებითი ქორწინების დანაშაული ზიანისა და დამამძიმებელი ფაქტორების  გათვალისწინებით შეფასდეს.[27] თავის მხრივ, იძულება, განმარტებულია, როგორც ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალით ზემოქმედება, რაც ავალდებულებს, ახალგაზრდა გოგონას მისი ნების საწინააღმდეგოდ, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავებაც მისი უფლებაა.[28]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის **აღსრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი,**

---

[24] UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), General Recommendation No. 21:Equality in Marriage and Family Relations,1994.

[25]ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

[26] Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Explanatory Report, გვ.34, ხელმისაწვდომია:http://ttu.cc/8tg2c8

[27] იქვე.

[28] იქვე.

**დამოუკიდებელ ექსპერტთა ორგანო განმარტავს,** რომ ახალგაზრდა გოგონები ბევრად უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან გახდნენ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. ექსპერტთა ორგანო აღნიშნავს, რომ 18 წელს მიუღწეველი პირების 19% ქორწინების შემდგომ განიცდის სექსუალურ ძალადობას, მაშინ, როდესაც იძულებით დაქორწინებული სრულწლოვანი ქალების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 10%-ს შეადგენს.[29]

დამოუკიდებელ ექსპერტთა ორგანო, კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს მოუწოდებს, რომ 37-ე მუხლის ეროვნულ დონეზე იმპლემენტირების პროცესში, შემდგომი მექანიზმებიც გაითვალისწინონ:

- იძულებით/ადრეული ქორწინების არარეგისტირებული შემთხვევებისას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრონ ქორწინების რიტუალის აღმასრულებელ რელიგიურ პირებს;
- უზრუნველყონ, დაბადების რეგისტრაციის სანდო სისტემების შემუშავება და გამოყენება მეუღლეთა ასაკის დამალვის ყოველგვარი მცდელობის თავიდან ასაცილებლად;
- მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ზომები, რომლებიც, თავის მხრივ, მსხვერპლს ფინანსური და ადმინისტრაციული ტვირთის დაკისრების გარეშე ქორწინების ანულირების შესაძლებლობას მისცემს;
- დანერგონ მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება იმ ქალების ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებზე, რომლებმაც იძულებითი/ნაადრევი ქორწინების ბათილობა მოითხოვეს.
- მუდმივად აწარმოონ ბავშვთა და იძულებითი ქორწინების შემთხვევების ოფიციალური აღრიცხვა;
- ბავშვთა და იძულებითი ქორწინების პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიმუშავონ მულტი-სექტორული პოლიტიკა და ზომები, რომელიც მიზანმიმართული იქნება ბავშვთა და იძულებითი ქორწინების განმაპირობებელი- სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების აღმოფხვრისაკენ;
- განსაკუთრებული ყურადღებით ითანამშრომლონ განათლების სექტორთან. სკოლებში ხშირად უნდა ეწყობოდეს, საინფორმაციო კამპანიები, რომელსაც სავალდებულო ხასიათი ექნება, მათ შორის მშობლებისთვისაც. მნიშვნელოვანია, საინფორმაციო შეხვედრები შეეხებოდეს მეუღლის თავისუფლად არჩევის უფლებასა და ბავშვთა/იძულებით ქორწინების სამართლებრივ შედეგებს.[30]

საგულისხმოა, რომ კონვენციის მიზნებისათვის, გოგონათა იძულებითი ქორწინება, ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის ერთ-ერთ სახესხვაობადაა მიჩნეული. ამდენად, ადრეული ქორწინების პრევენციის კუთხით, რელევანტური იქნება, ის რეკომენდაციები და მიდგომები, რომელიც, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-3 თავით იქნა შემუშავებული და რომელიც ქალთა წინააღმდეგ გამოვლენილ ნებისმიერი სახის ძალადობაზე, მათ შორის, ადრეულ ქორწინებაზეც, ვრცელდება.

[29] GREVIO, V. B. 4. Forced marriages (Article 37) and civil consequences of forced marriages, para:237.
[30] იქვე.

მიჩნეულია, რომ გოგონები და ქალები მეტად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, რაც უმთავრესად იმ გენდერული უთანასწორობის შედეგია, რომელიც ქალების სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობას იწვევს. ამდენად, ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების პრევენციის უპირველეს მექანიზმად, ქალთა სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა დასახელებული. კონვენციის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ აუცილებელია გოგონებიცა და ქალებიც წარმატებით იქნან ინტეგრირებულნი ფართო სოციალურ გარემოში. ამ მიზსნის მისაღწევად კი, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ქალების ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და გაძლიერებას.[31]

ამასთან, აუცილებელია, იმ ცრურწმენების და ადათ-წესების დაძლევა, რომელიც ქალთა არასრულფასოვნების იდეასა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ უპირატესობას ეფუძნება. კონვენციის ხელშემკვრელი თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს რომ კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები და ე.წ „ღირსებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები“ არ ჩაითვალოს ამ კონვენციით აკრძალული ნებისმიერი ძალადობრივი აქტის გამამართლებელ მიზეზად. [32]

ამავდროულად, კონვენციის მიხედვით, მნიშვნელოვან პრევენციულ მექანიზმადაა შეფასებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. სახელმწიფოთა პირდაპირი ვალდებულებაა, უზრუნველყონ საზოგადოების სრულად ინფორმირება, იმის შესახებ, თუ რა ფორმითა და გამოვლინებით ხდებიან ქალები ძალადობის მსხვერპლნი. აღიარებულია, რომ ადრეული ქორწინება, როგორც გენდერული დაუცველობის ყველაზე ნათელი მაგალითი, **უსაფრთხოების უხმო დილემას ასახავს**.- „უსაფრთხოება, როგორც სიჩუმე, ჩნდება მაშინ, როცა დაუცველობის გაჟღერება ვერ ხერხდება“. უდავოა, რომ ადრეული ქორწინების მსხვერპლი გოგონები, ვერ ახერხებენ დაუპირისპირდნენ, დაუცველობის შეგრძნებას და ხმა აიმაღლონ, რაც კიდევ უფრო მეტად აფერხებს მათ.[33] კონვენციის სულისკვეთებით გაზიარებულია მოსაზრება, რომ ამ საკითხების აქტუალიზება დაეხმარება საზოგადოებას თვალი გაუსწოროს რეალობას, რომ ქალთა უმრავლესობა, განსხვავებულ სივრცეებში რეგულარულად განიცდის სხვადასხვა სახის ძალადობას, რის შედეგადაც საზოგადოება მეტად რეზისტენტული გახდება პატრიარქალური წარმოდგენების და სოციალური ნორმებისმიმართ. ამდენად, კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები ვალდებულნი არიან, სისტემატიურად ჩააატარონ საზოგადოებრივი ცნობიერების იმგვარი კამპანიები და პროგრამები, რომლებიც ქალთა ძალადობის საკითხებს გენდერული სენსიტიურობის პრიზმიდან განიხილავს.[34]

საზოგადოებრივ ცნობიერებასთან ერთად, კონვენცია ავალდებულებს ქვეყნებს, რომ: *„მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის, არასტერეოტიპული გენდერული როლების, ურთიერთპატივისცემის, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარებისა და ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლებების შესახებ საკითხები ოფიციალურ საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამებში იქნება ასახული.“*[35]

---

[31] Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Article 21.

[32]ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-12 მუხლის 1-ელი და მე-5 ნაწილები.

[33] WeResearch, ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება. გვ.23 იქვე.ჰანსენი (2000: 287)

[34] Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Article 13.

[35] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-14 მუხლი.

კონვენციის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ  დამოკიდებულებები, შეხედულებებიცა და ქცევის პატერნებიც, ადრეულ ასაკშივე ყალიბდება, ამდენად, საგანმანათლებლო დაწესებულებები, **განსაკუთრებით კი სკოლები,** მნიშვნელოვან ფუნქციას ითავსებენ, გენედერული თანასწორობის ხელშეწყობის, ძალადობრივი ქცევების დაგმობისა და ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ურთიერთპატივისცემის ხელშეწყობის სწავლების კუთხით.[36]

ამასთან, მიჩნეულია, რომ აუცილებელია კონკრეტული სპეციალობის მქონე პირების, განსაკუთრებით კი მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალის, მუდმივი ინფორმირება და გადამზადება ქალთა ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ვინაიდან, ამ პროფესიის ადამიანების გადამზადებაცა და ქალთა ძალადობის საკითხების მიმართ მათი სენსიტიურობის გაზრდა, ხელს შეუწყობს სავარაუდო მსხვერპლთა დროული ამოცნობისა და სხვადასხვა გამოვლინების მქონე ძალადობის, მათ შორის ადრეული ქორწინების,  მყისიერ პრევენციას.[37]

## ბავშვთა ქორწინების  რეგულირება საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქორწინება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობითობას ემყარება.

2017 წლის პირველი იანვრიდან,  გაუქმდა 16 წლის პირების ქორწინებაზე თანხმობის გამცემ სუბიექტებად სასამართლოსა და მშობლების იდენტიფიცირების პრაქტიკა, რითაც  სრულად აიკრძალა18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაცია და საქორწინო ასაკად განისაზღვრა 18 წელი, ნებისმიერი გამონაკლისის გარეშე.[38]

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ეს ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ ფონზე, როდესაც ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების უმრავლესობა არა ბავშვების სურვილს, არამედ მშობლების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლები თავად არჩევდნენ ოჯახებს და შვილების დაუკითხავად წყვეტდნენ მათი დაქორწინების საკითხს, რისი ძირითადი მიზანიც კი, ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.[39]

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით, დასჯადია სრულწლოვანი პირის მიერ სქესობრივი კავშირის დამყარება 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან, მათ შორის ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაშიც კი.[40]

ასევე, დასჯადი ქმედებაა ქორწინების იძულება.  ნორმის განმარტებით, აღნიშნული მუხლით ნაგულისხმებია, იძულების სპეციალური, კერძო შემთხვევა, რომელიც იძულების ხერხებად მიიჩნევს დაზარალებულზე მხოლოდ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას, რაც

---

[36] Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Article 14.

[37] იქვე. Article 15.

[38]ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში-არსებული გამოწვევებლი და გადაჭრის გზები, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1108-ე მუხლი.

[39]საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“.

[40] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 140.

ანალოგიურია ქორწინების იძულების დანაშაულისთვისაც, მათ შორის, მაშინაც, როდესაც მსხვერპლი არასრულწლოვანია. ჩვენი კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ქორწინების იძულებას ფართოდ არ განმარტავს, რის გამოც იმ შემთხვევაში თუ არ დასტურდება არასრულწლოვანზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება დანაშაულის ჩადენა არ დგინდება.

სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით საქორწინო ასაკად განისაზღვრა 18 წელი და აიკრძალა არასრულწლოვანთან დაქორწინება, სისხლის სამართლის კოდექსი არ მიჰყვება ცვლილების სულისკვეთებას. ქორწინების იძულების არსებული დეფინიცია ეფუძნება დაშვებას იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანს შეუძლია თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის გაცხადება ქორწინებაზე და დანაშაულად არ მიიჩნევა მანამ, სანამ ბავშვის წინააღმდეგ არ გამოიყენებენ ფიზიკური და ფსიქიკური იძულების ხერხებს. ამგვარი მიდგომა ბავშვს ექსპლუატაციის რისკის ქვეშ აყენებს და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით მის ეფექტიან დაცვას გამორიცხავს.“ [41]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ქორწინების იძულების სისხლისსამართლებრივი საფუძვლის ნორმატიული შინაარსი, იმთავითვე უნდა გულისხმობდეს, რომ ბავშვს, განსაკუთრებით კი 16 წლამდე არასრულწლოვანს, არ შეუძლია თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობა გამოთქვას ქორწინებაზე. სახალხო დამცველი, გაეროს სპეციალური მომხსენებლის მსგავსად, აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთან მიმართებით ისეთივე მიდგომა უნდა მოქმედებს, როგორც ადამიანით ვაჭრობის შემთხვევაში, სადაც აქტი და შედეგი ქმნის დანაშაულს. შესაბამისად, სახალხო დამცველის მითითებით, ბავშვთან ქორწინება იმთავითვე უნდა მიიჩნეოდეს დანაშაულად და იძულების ის ხერხები, რომლებიც სრულწლოვნის შემთხვევაში მოქმედებს, ბავშვის შემთხვევაში არ უნდა იყოს რელევანტური.[42]

ამასთან, სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბავშვთა ქორწინების პრევენციული ღონისძიებების არსებობის აუცილებლობაზე, რადგან მისი აზრით, ადრეული ქორწინება, დანაშაულთან ერთად, სოციალური და კულტურული ფენომენია, ამდენად მასთან ბრძოლა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით არაეფექტიანია.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ: „ამ დანაშაულების თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რაც მოიცავს საგანმანათლებლო, სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართულ ზომებს, ახალგაზრდების შესაძლებლობების გაზრდას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებასა და ბავშვობის ასაკში ქორწინების ძირეული მიზეზის - პატრიარქალური და დისკრიმინაციული კულტურის გარდაქმნას. დანაშაულთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მექანიზმები, რაც ბავშვობის ასაკში ქორწინების აღსაკვეთად არა ერთადერთი, თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, უნდა გამოიყენებოდეს სხვა ზომებთან ერთობლიობაში, ინტერდისციპლინური მიდგომის შესაბამისად.“[43]

---

[41]ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში-არსებული გამოწვევებლი და გადაჭრის გზები, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში,გვ.14

[42] იქვე.

[43] იქვე. გვ.16

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, 2022 წელს 815 არასრულწლოვანი ორსული დარეგისტრირდა, იმავე წელს კი, შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაძლო ადრეულ ასაკში ქორწინების 171 ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რაც კიდევ უფრო ცხადს ხდის რეალობას, რომ ადრეულ და ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.[44] ამასთან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ იძულებით ქორწინების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ქვემო ქართლის რეგიონში. ყველაზე ხშირად სწორედ აქ იწყება გამოძიება იძულებითი ქორწინების საკითხთან დაკავშირებით, მაგალითისათვის, 2016-2019 წლების განმავლობაში ყველაზე მეტი გამოძიება ქორწინების იძულების ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო ქვემო ქართლში. საანგარიშო პერიოდში ამ რეგიონში ქორწინების იძულების ფაქტზე დაწყებულ გამოძიებათა ჯამი მთელი საქართველოს მასშტაბით დაწყებული გამოძიებების 60%-ს შეადგენს.[45] რაც იმთავითვე გულისხმობს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები საკუთარი გენდერისა და არა-დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გამო ძალადობის მიმართ ორმაგად მოწყვლადები არიან. ორმაგი მოწყვლადობა კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების საზოგადოებიდან გარიყვის, არასათანადოდ მოპყრობისა და დისკრიმინაციის რისკებს ზრდის.[46]

## ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია-რეკომენდაციები

იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვთა ასაკში ქორწინება უმთავრესად მრავალშრიანი სოციალური უთანასწორობისა და გარიყვის შედეგია, მის აღსაკვეთად ინტერდისციპლინური ზომების გატარებაა საჭირო:

### 2.1 საკანონმდებლო ღონისძიებები, პოლიტიკა, სამოქმედო გეგმები და კოორდინაციის მექანიზმები

- მნიშვნელოვანია, სახელმწიფოში არსებობდეს კანონმდებლობა, გაცხადებული პოლიტიკური ნება და სისტემური პრაქტიკა, რომლებიც არაორაზროვნად, არამედ მკაცრად და მკაფიოდ კრძალავს ბავშვების ქორწინებას;[47]

- აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზება და იმ სამართლებრივი ნორმების გაუქმება, რომლებიც წინააღმდეგობრივია ბავშვთა ქორწინების აკრძალვისა და პრევენციის მთავარ საერთაშორისო სამართლის დებულებებთან.[48]

---

[44] სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.206

[45] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „იძულებითი ქორწინება კანონმდებლობა და პრაქტიკა“, გვ.7

[46] WeResearch, ორმაგი დაუცველობა და უსაფრთხოება. გვ.4

[47] United Nations Human Rights Office of the High Commisioner, “Recommendations for actions against Child and forced marriages”,იქვე-A/HRC/26/22.

[48] იქვე.

- ეროვნული კანონმდებლობით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, უნდა იკრძალებოდეს 18 წლამდე პირების ქორწინება, როგორც რეგისტრირებული, ისე არაოფიციალური ფორმებით. ამასთან, სავალდებულო უნდა იყოს, დაბადების რეგისტრაცია, რათა მარტივად იქნას გადამოწმებადი, ქორწინების მსურველი პირების ასაკი.[49]

- სახელმწიფოები, საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, მათ შორის რელიგიური ლიდერებისა და ქალთა ჯგუფების, ჩართულობით, მუდმივად უნდა ანახლებდნენ ადრეული ქორწინების აკრძალვის ეროვნულ პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმას.[50]

- ყოველწლიურად უნდა გამოიყოს ადეკვატური ფინანსური რესურსები, რათა შესაძლებელი გახდეს ადრეული ქორწინების მსხვერპლი გოგონებისათვის სხვადასხვა სახის, პროფესიული და საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება.[51]

## 2.2 სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი ლიდერებისა და პროფესიონალების ჩართულობა

- სახელმწიფო ვალდებულია გადაამზადოს, ის სახელმწიფო მოხელეები, სასამართლოს წარმომადგენელი, მასწავლებლები, ჯანდაცვის და სოციალური ზრუნვის სექტორები, რომლებსაც, თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდულობით უწევთ ბავშვებთან მუშაობა. აღნიშნული, შესაძლებელს გახდის, რისკის ქვეშ მყოფი გოგონებისა და ადრეული ქორწინების მსხვერპლი გოგონების დროულ ამოცნობას.[52]

- მნიშვნელოვანია, სახელმწიფო მუდმივად მუშაობდეს ადრეული ქორწინების წინააღმდეგ მიმართულ ახალ ინიციატივებზე. თავის მხრივ, ინიციატივების შემუშავების პროცესში, აუცილებელია ჩართულნი იყვნენ, ქალები, გოგონები, რელიგიური ლიდერები და მასწავლებლები.[53]

- სახელმწიფო პასუხისმგებელია შექმნას მეტი სივრცე, სადაც გოგონები შეძლებენ გაეცნონ მათ უფლებებს, სასამართლო სისტემასა და არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა გოგონები არ იმყოფებოდნენ ინფორმაციულ ვაკუუმში და იცოდნენ თავიანთი უფლებრივი პერსპექტივები, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლონ ადეკვატური წინააღმდეგობა გაუწიონ იძულებითი ქორწინების შემთხვევებს.[54]

---

[49] იქვე.
[50] იქვე.
[51] იქვე.
[52] იქვე.
[53] იქვე.A/HRC/35/5
[54] იქვე.

## 2.3 გოგონების განათლებისა და გაძლიერების მნიშვნელობა

- კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ყველა გოგონასათვის, განსაკუთრებით კი ადრეული ქორწინების მსხვერპლი ბავშვებისათვის, უზრუნველყოფდეს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას. თავის მხრივ, მსხვერპლი გოგონების განათლების უფლება რეინტეგრაციის პროგრამების დანერგვასაც გულისხმობს.[55]

- აუცილებელია, საგანმანათლებლო სივრცეებში, უზრუნველყოფილი იქნას სექსუალურ და რეპროდუქციული განათლების ხელმისაწვდომობა.[56]

- გოგონებისთვისა და ქალებისათვის, გარანტირებული უნდა იყოს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები.[57]

ამდენად, უდავოა, რომ ადრეული ქორწინება, მის თანმხლებ შედეგებთან ერთად, გლობალური გამოწვევაა. პრობლემის მასშტაბისა და სპეციფიკიდან გამომდნარე, აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშავოს მრავალმხრივი, მულტი-სექტორული, მიდგომები, რომელთა განხორციელების გზითაც სახელმწიფო ეფექტიანად დაუპირისპირდება ადრეული ქორწინების მანკიერ პრაქტიკას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია ცვლილებები ერთდროულად შეეხოს საგანმანათლებლო, საკანონმდებლო და კულტურასთან დაკავშირებულ სფეროებს, რათა გოგონებისა და ქალების იძულებით გათხოვების სისტემური პრაქტიკა, დროულად აღმოიფხვრას.

[55] იქვე.
[56] იქვე.– A/HRC/27/34.
[57] A/HRC/35/5.